დასკვნა:**დ02.37221501**
თარიღი:**30/05/2022**

დასკვნა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებასზი ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ“ - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ” განიხილა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - პროექტი (შემდგომში პროექტი) და დაადგინა:

1. საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით მიმდინარე წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 01.06.2022 წლის მდგომარეობით, საბიუჯეტო ასიგნებების ზრდა განსაზღვრულია 29 683 862,63 ლარით. აღნიშნული ოდენობით ბიუჯეტის მატება ნიშნავს, მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით დამტკიცებული ბიუჯეტის თითქმის 107 პროცენტული პუნქტით ზრდას.

2. ,,პროექტით“ განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ზრდა ძირითადად მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, შესაბამისად ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ხვედრითი წილი საერთო საბიუჯეტო ასიგნებებში 58 პროცენტულ პუნქტამდე გაიზარდა, ნაცვლად მიმდინარე წლის დასაწყისისათვის დაგეგმილი 22%-ისა.

3. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაფინანსებაზე მიმართული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

-საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 11 135 552 ლარი.

-,,განახლებული რეგიონების“ ფარგლებში - 2 627 700 ლარი.

-რეგფონდებიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 1 086 000 ლარი

-გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 01 02 – 61.1.1.5) 4 627 400 ლარი.

-ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი 1 297 829 ლარი.

4. ,,პროექტით“ გათვალისწინებული ცვლილების გათვალისწინებული ბიუჯეტი

უზრუნველყოფს:

1. ქალაქ ოზურგეთის იერსახის მნიშვნელოვან მოწესრიგებას.

2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური და კომფორტული ცხოვრების პირობების შექმნას.

3. დასასვენებელი და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობასა და ახალი კერების შექმნას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ,,პროექტი“ კომისიის მიერ რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი